განკარგულება:**g-37. 3726084001**
თარიღი:**25/03/2026**

განკარგულება N11

25 მარტი 2026 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, ნატანების ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მდებარე უსახელო ქუჩისათვის ,,ჯემალ გახოკიძის“ სახელის მისანიჭებლად - გარდაცვალების ვადის შეზღუდვიდან გამომდინარე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 24 -ე მუხლის 1 -ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის , მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, ნატანების ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მდებარე უსახელო ქუჩისათვის ,,ჯემალ გახოკიძის“ სახელის მისანიჭებლად - გარდაცვალების ვადის შეზღუდვიდან გამომდინარე, სახელდებისათვის განსაზღვრული 20 წლიანი ვადის შემცირების მიზნით, დაშვებული იქნას გამონაკლისი.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14).

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი